პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 113 (13805) | სამშაბათი, 16 მაისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტზე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სურათზე: მოწინავეთა რიგებში დგანან ფაბრიკის კომკავშირელი მქსოველები მზია მარშანია (მარცხნივ) და ლეილა ვიბლიანი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეჩაიეთა ლაშქრობის წინ

უკანასკნელ წლებში ზედიზედ დიდ წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მეჩაიეები, რომლებიც განუბრეელად ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს. ახლა, როცა ყოველი დღე გვაახლოებს ღირსშესანიშნავ თარიღთან — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან, — მეჩაიეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა დაიპყრონ მორიგი ზღუდეები, ახალი წარმატებებით გაახარონ დედა-სამშობლო.

სახელოვან მეჩაიეებს არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. შარშანდელი წელი ჩვენი მეჩაიეებისათვის ბარაქიანი იყო. მან პარტიას, მთავრობას უპატაკეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება. საიუბილეო წელს მეჩაიეებმა ვალდებულებად — იკისრეს მოკრიფონ 210.000 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200.000 ტონისა. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მახარაძის, ქობულეთის, ზუგდიდის, გალის, ოზურგეთის, ფალეზინის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ბათუმის და სხვა რაიონებმა.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში წინა ხაზზე არიან ლენინუშუილი მეჩაიეები, რომელთა მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს სამშობლოს მისცენ 11.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით წელსვე აიღონ 1970 წლისათვის დასახული ზღვდე. ამ დიდ ლაშქრობაში ჩაება რაიონის ახალგაზრდობა, რომელმაც იკისრა მოკრიფოს 6.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადებაში ორგანიზებულობის ნიშუშებს გვიჩვენებენ იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, რომლებსაც შრომის პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ კომუნისტები. საიუბილეო წლის ვალდებულებათა შესრულებისათვის ლაშქრობა გააჩაღეს მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინაში“ (თავმჯდომარე მ. ზაქარაიძე) კრეფის სეზონისათვის მზად არიან. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით პლანტაციაში გახსნეს ახალი სასადილო და ბავშვთა ბაღი. ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან სეზონს ნატანებრის ლენინის სახელობის და სოფელ მახარაძის კოლმეურნეობები.

მაგრამ ვალდებულებების აღება და მათი შესრულებისათვის დაწყებული შრომობა მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. წინ არის დიდი ამოცანები. ამიტომ უნდა ვიცოდეთ თვითეული დღისა და საათის ფასი. წელს სეზონის დაგვიანებით დაწყებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ზეიმძნის ბევრი სიძნელე. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავი ის, რომ საკრეფად ერთბაშად შემოსული ჩაის ფოთლით დიდ შრომას, ენერგიას და ორგანიზებულობას მოითხოვს. მეჩაიეთა გადაუდებელი ამოცანაა მოუკრეფავი არ დარჩეს არც ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული. ამიტომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ბანუფუეტელ, ყოველდღიურ კრეფას ყოველგვარ ამინდში. არ უნდა გამეორდეს შარშანდელ სეზონში შემჩნეული ნაკლი, როცა ჭიანურდებოდა მოკრეფილი ნედლეულის გადაზიდვა ჩაის ფაბრიკებში, მტკიცედ უნდა დავიცვათ დადგენილი გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს მოკრეფილი ჩაის ფოთლის ჩაბარებას ფაბრიკებში დღის პირველ საათზე, ოთხ საათზე და მესამედ — სალამოს თერთმეტ საათამდე.

არის სიგნალები, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეჩაიეები უზრუნველყოფილი არ არიან სპეციალისტებით. ასეთ ფაქტებზე იყო ლაპარაკი ამას წინათ გამართულ ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეცეტრუსეთა, ჩაის წარმოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირებზე ლენინუშუსა და სამგრედიანი.

მეტად საყურადღებო სიგნალი მიიღო რედაქციამ ჩოხატაურის რაიონიდან. მეჩაიეები ყოველწლიურად ასობით ტონა ზეგგეგმითს ჩაის ნედლეულს იძლევიან. მათ მუშაობა უსდებათ ძნელ პირობებში. ბლანტაციების დიდი ნაწილი ფერდობებზეა გაშენებული. წვიმის დროს აქ მუშაობა ფერხდება. საწვიმარი ტანსაცმელების უქონლობით, წელს სეზონში საბერრა სულ ცოტა 800 ცალი საწვიმარი სპეცტანსაცმელი. დიდი ხანია მეჩაიეებს პირდებიან ამ ტანსაცმლით მომარაგებას. მაგრამ დღემდე არცერთი ცალი არა აქვთ მიღებული. მსგავსი მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც.

ზოგან ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მეჩაიეთათვის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საკითხებს. წულუკიძის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სასადილოები კეთილმოწყობილი არ არის. მზადდება უხარისხო და ერთფეროვანი კერძები, ჭიანურდება საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონის კეთილმოწყობა. ეს სამუშაო კი ჯერ კიდევ შარშან უნდა დამთავრებინათ.

ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინონ მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა, ჩაენმა მეჩაიეებმა. საიუბილეო წლის ეს დიდი გამოცდა მათ სასახელოდ უნდა ჩაბარონ.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია გონივრულად მივუდგეთ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადების მომზადებულ საკითხებს: სწორად დავკომპლექტოთ ყველა ბრიგადა, რგოლი. თვითეულ მეჩაიეს გულდასმით გავაცნოთ თავისი მოვალეობა, აგროტექნიკური მოთხოვნები, ყოველმხრივ დავეხმაროთ ახალგაზრდა მეჩაიეებს ჩაის პლანტაციების მოვლისა და ფოთლის კრეფის წესების დაუფლებაში. სანამ გვიან არ არის, მივიღოთ ზომები კარგი საპლანტაციო გზების, პლანტაციებში ფარდულების მოწყობისათვის. უზრუნველყოთ მეჩაიეები ყოველგვარ ამინდში ფოთლის კრეფისათვის, მოვამარაგოთ სპეცტანსაცმლით, საკრეფი კალათებით, გადასაზიდი ყუთებით, უზრუნველყოთ ჩაის ფაბრიკებს, ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა. მკვეთრად გავუმჯობესოთ მკრეფავთა საყოფაცხოვრებო პირობები, ამთავითვე ვზრუნოთ საბავშვო ბაღებისა და ბაგების, მინდერად სასადილოების მოწყობისათვის, სწორად განვახორციელოთ მეჩაიეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები თავიანთ სიხარულს უერთებენ რესპუბლიკის ყველა შრომელთა აღფრთოვანებას იმის გამო, რომ ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მათ მხარში ამოუდგა. ამ მანქანის შემქმნელებს ლენინური პრემია მიენიჭათ.

ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დიდი გამოცდილება აქვთ მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის კოლქტივებს. მათი მუშაობის მდიდარი გამოცდილება ფართოდ უნდა დავნერგოთ მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

უნდა გვახსოვდეს, რომ დასახული გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვს დიდ შემოქმედებითს, ძაძაბულ შრომას, ორგანიზატორულ მუშაობას. აქეთკენ უნდა მიმართონ მთელი ძალები ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა. მტკიცედ უნდა განხორციელდეს დევიზი: იკისრე ვალდებულება? — შეასრულე კიდეც!

საიუბილეო წლის ღირსეულად დამთავრებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში უნდა ჩაგებათ ფართო მასები, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი და შესაძლებლობა, მიგაღწიოთ საერთო აღმავლობას. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები წარმატებით განახორციელებენ მშობლიური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ხუთწლიდის მეორე წელს მოიპოვებენ ახალ, შესანიშნავ წარმატებებს მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის ლაშქრობაში.

ზრომითი ნოგბათები

△ ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა წარმატებას მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმის შესრულების საქმეში. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, კვერცხისა და მატყლის დამზადების ნახევარი წლის გეგმები. ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 102 პროცენტით, მატყლისა — 122 პროცენტით. რედაქციას ეს აცნობეს საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. უნგიაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. რეხვიაშვილმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კაკაბაძემ.

△ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში პირველი წარმატება მოიპოვეს ზესტაფონის რაიონის მხეილმთესელებმა. 7 მაისისათვის რაიონში დათესილი იყო 3.160 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.080 ჰექტარისა. გეგმის გადამეტებით თესვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ფერულაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. სამხარაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ბურჭულმა.

პირველ ადგილზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი (უფროსი ო. ფოცხორაია, პარტბიუროს მდივანი ე. ერუსაძე) პირველ ადგილზე გამოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე და მას გზის სამმართველოსა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

ამ დღეებში ქუთაისელ რკინიგზელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ გარდამავალი დროშა. დეპოს კოლექტივმა მტკიცედ გადწყვიტა დროშა მეორე კვარტალშიც შეინარჩუნოს და ახალი ძალით გაიჩაღოს შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ქუთაისელ რკინიგზელთა ხიტყვა საქმეს არ სცილდება. მათ ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი თვის დავალება. განვლილ პერიოდში 647 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 77.351 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და მიიღეს 8 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

იუბილეს შესახვედრად

ახალციხის ლიმონათის ქარხანამ, რომელმაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო თარიღის შესახვედრად გადიდებული ვალდებულებები იკისრა, სამ თვეში ჩამოასხა და მომხმარებლებს გაუგზავნა 12.132 დეკალიტრი ხილის წყლები ნაცვლად 10.000 დეკალიტრისა. კვარტალის დავალება შესრულებულია 121 პროცენტით.

შეხიბრებაში გამარჯვებული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივების 1966 წლის შეჯიბრების შედეგები.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს **მახარაძის სატყეო მეურნეობის კოლექტივი**, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახეობის სამუშაოთა გეგმები. მას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

გარდამავალი ალამი — ქართველ მებაღურებს

ბათუმი, 8 მაისი. (საქდესი). აქ მიღებულია ცნობა, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის საიუბილეო წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სახელმწიფო თევზმეურნეობა ბათუმის ბაზის № 122 მამოვნებ-სატრანსპორტო გემის ეკიპაჟს მიაკუთვნა გარდამავალი ალამი და პირველი ფულადი პრემია.

ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე „სსს-214“ სეინერის მებადურებმა, მათ მიიღეს აზოვ-შავი ზღვის აუზის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მეორე ფულადი პრემია.

კარგად იმუშავეს ბათუმელმა მებადურებმა საიუბილეო წლის პირველ კვარტალში. მათ სამთევზეხეკარში შეასრულეს წლიური ფულადი. გეგმის გადამეტებით უკვე დაჭერილია სამი ათას ცენტნერზე მეტი თევზი.

ბათუმის ბაზის კოლექტივი თევზს იჭერს მომავალი წლის ანგარიშში, ხოლო „სსს-1154“ სეინერის მებადურები — 1969 წლის ანგარიშში.

მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაკთა თათბირი

11-12 მაისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაკთა თათბირი. თათბირზე განიხილა საკითხები სამეცნიერო ორგანიზაციათა, მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგის ს. პ. ტრაპეზნიკოვის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენება „სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების დაჩქარების ღონისძიებანი“ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ტ. სენიჩევმა. სამეცნიერო-ტექნიკურ-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ვ. ფიოდოროვი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ა. ლობასენკო, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ნ. ბლოხინი, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ფ. კუბარევიჩი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. პ. სემენენკო, ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. ნ. როქჩინოვ, ფარადი მეტალურგიის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. ნ. კოსტინი, აკადემიკოსები ბ. პ. კონსტანტინოვი, ა. ნ. შუკინი, მ. ა. სტერეკოვიჩი, ნ. ვ. ფელნოკოვი, ა. პ. ალექსანდროვი, ნ. ნ. ყაკორონკოვი, ა. ლ. მინცი, მთელი რიგი დიდი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები და სხვები — სულ 26 კაცი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. დ. სერბინი, ვ. ს. ფროლოვი, ვ. ი. სტეპაკოვი, ა. ს. პანიუშკინი, პ. კ. სიზოვი, ნ. ნ. ორგანოვი.

პირველ დღეს ორგანიზმის სისტემურ და ავთვისებიან დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემებზე მოხსენებანი გააკეთეს ლენინგრადელმა მეცნიერებმა პროფესორმა ლ. ფუნშტეინმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ვ. ვალკოვიჩმა და ლ. ივანოვამ, ქართველმა რენტგენოლოგებმა პროფესორმა გ. ნაზარიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. პირადოშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ქ. გარსიაშვილმა, უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა ნ. პოპიაშვილმა, კ. ჩხეიძემ, ც. კიკვიძემ. (საქდესი).

ამ ... ...

ტექნიკა
რეგიონალური ეკონომიკა
და ადამიანები

ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანეტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ხუთწლედის პირველი წელი განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნა. საკმარისია ითქვას, რომ კალინინელებმა მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალის მაჩვენებლებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს. გასული წლის საწარმოო გეგმა მაღაროს მშრომელებმა 21 ნოემბრისათვის ყველა მაჩვენებლით დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და ხელი ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს მიაწოდეს 71.709 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია, აქედან 27.588 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. საბშობლოს მიეცით 638.200 მანეთი მოგება.

მაღაროს მშრომელები პრაქტიკულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ახალი შრომითი შეჯარებები შრომობენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, იმ ვალდებულებების პირნათლად განაღდებისათვის, რომლებიც ჭიათურელმა მაღაროელებმა იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ნაყოფიერად დავიწყეთ ხუთწლედის მეორე წელიც. წელს ჩვენი კოლექტივის წინაშე ახალი დიდი ამოცანები დასახული. მაღაროელებმა გასულ წელთან შედარებით 59.000 ტონით უნდა გაზარდონ მარგანეცის გამოღება, ხოლო 15.000 ტონით მაღალხარისხოვანი სასაკონლო პროდუქციის დამზადება.

ხუთწლედის მეორე წელი იმითაც იქნება ჩვენი კოლექტივისათვის ღირსშესანიშნავი, რომ უმოკლეს ვადაში გადავალთ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე, რაც მაღაროს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მთელ კოლექტივთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. საქმე ის არის, რომ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლამ კი არ უნდა შეამციროს პროდუქციის გამოშვება, არამედ გაზარდოს იგი. ამავე დროს გაათავისუფლა მუშათა შრომითი საქმიანობა და აამაღლოს მუშის ნაყოფიერება.

სწორედ ამას მიეძღვნა ამას წინათ ჩატარებული ინჟინერ-ტექნიკოსთა თათბირი, რომელშიც გადაწყვიტა მთელი რიგი ტექნიკური და ეკონომიური საკითხები, რომელთა ნაწილი გატარებულია და ზოგი უნდა გატარდეს უახლოეს დროში ცალკეული უბნების მიხედვით.

კერძოდ: მეოთხე და მეხუთე უბნებში დაინერგა მცირეგაბარიტიანი დამტვირთავი ელექტრომანქანა, რომელიც ცვლაში 50-60 ტონა მარგანეცს ტვირთავს, დაიდგა ამავე უბნების განაკვეთისათვის ცენტრალური განაკვეთის ენერგეტიკური. მესამე უბანი, რომლის წარმადობა დღეღამეში 1.300 ტონას ეღირს, მთლიანად გადაყვანილია მექანიზებულ დატვირთვაზე. ძირითადად დამთავრებულია პირველი საწარმოო უბნის მოსამზადებელი და დაჭრითი სამუშაოები, ამავე უბნის № 12 შტრეკში მოწყობილია ვაგონის ტრანსპორტირება ელმავლებით, რამაც ორჯერ და მეტად დაიჩქარა ამ უბანში ვაგონების ბრუნვა. სულ რამდენიმე დღის წინ მაღაროს ჩაბარა კეთილშობყობილი მიწისქვეშა საწყობი ასაფეთქებელი მასალებისათვის და 800 გრძივი მეტრი კაპიტალური გვირაბი. გადიდდა სავაგონო პარკი, მთავარი ყურადღება დაეთმო მადნის პირველად გამდიდრებას სანგრავებში, მიღებული ყველა ზომა წუნდებული პროდუქციის გამომშვების აღსაკვეთად. № 29 გამამდიდრებელი ფაბრიკის ყველა მოკმედი აგრეგატი, რეცხვის ყველა პროცესი გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე, რამაც ერთიორად გაადიდა აღნიშნული ფაბრიკის შრომის ნაყოფიერება, მიხიმუმამდე შეამცირა ავარიები და მოცდენა, გაათავისუფლა ზოგიერთი მუშა მძიმე ფიზიკური შრომისაგან.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მშრომელთა წახალისების, კულტსაყოფაცხოვრებო პირობების, კომუნალური მომსახურებისა და ეკონომიური პირობების გაუმჯობესების საქმეს. მარტო ხუთწლედის პირველ წელს წარმოების ინდივიდუალური პრემირების ფონდიდან დაჯილდოებულია 1.194 მშრომელი, გაცემულია 26.160 მანეთი. წარმოების დახმარების ფონდიდან დახმარება გაეწია 152 მუშას და გაცემულია 8.990 მანეთი. შეძენილია 2.390 მანეთის საგზურები და უფასოდ მიეცათ მოწონავე მუშებს. სულ საანგარიშო წელს ჯილდო მიეცა 1.392 შრომელს 37.540 მანეთის ოდენობით.

მაღაროს საწარმოო უბნებმა ახალ წელს პირველი დღეებიდანვე დაიწყეს რიტმული მუშაობა. ყოველდღიური დაგალებები გადაჭარბებით სრულდებოდა. წარმატებით დავამთავრეთ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი, სსრ კავშირში მეოთხედ შეეღინარჩუნეთ პირველობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მაღარომ სასაკონლო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალი გეგმა 22 მარტისათვის შეასრულა, გეგმის ზეგით კი 13.610 ტონა მარგანეცი დამზადდა. აქედან მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადება 17 მარტს დავამთავრეთ და 6.644 ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი მარგანეცი მიეეცით სამშობლოს.

წარმატებთან შრომობენ უბნები, რომლებსაც ა. ღუღუნიშვილი, ვ. ჯუღელი, ტ. ბრეგვაძე ხელმძღვანელობენ, გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ი. აბელაძე უდგას სათავეში. ფაბრიკამ მაღალხარისხოვანი კონცენტრატების დაბზადების პირველი კვარტალის გეგმა 118,3 ბრიგადებით შეასრულა.

მაღარომ აპრილშიც წარმატებით იმუშავა. სამშობლოს უკვე მივეეცით ზეგეგმითი მარგანეცი. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან მრწინავე მაღაროელები. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ შერეე საწარმოო უბნის მგზავეელ-ამწეველი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ღუღუნიშვილი მეექვსე უბნის მგზავეელ-ამწეველი ბაბა-შვილი პეტრე და ოთარ ღუღუნიშვილები, კლიმენტი ბეღინაშვილი, მებიგე გიორგი გაფრინდაშვილი და მტვირთავი მაზანაში მემანქანე სპარტაკ ქავთარაძე. მოსიარულე ექსკავატორის მემანქანეები ნ. გელაშვილი და გ. ბოყოველი, მარგანეცის მრეცხავები კ. ცერცვაძე, ვ. მოდებაძე, კ. მაჭარაშვილი და სხვები.

კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ხუთწლედის მეორე წელსაც რენტაბელურად იმუშაოს, თვითეული უბანი, ცალკა, ბრიგადა და მუშა ყოველდღიურად ასრულებდეს არა მარტო საწარმოო გეგმებს, არამედ ვალდებულებებსაც, რომლებიც მათ იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ს. კვარაცხელია.
კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორი.

თბილისის მექანიკურმა ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა. ამ დღეებში ქარხნის კოლექტივი საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას და ახალ წარმატებებს აღწევს.

• • •

სურათზე: წარმოების მოწინავეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ბადურების მკეთებელი მ. ნადირაშვილი, მეავტომატე ე. ფიცხელაური, ბადურების მკეთებელი გ. ჭუმბურიძე და პირველი უბნის უფროსი ოსტატი თ. პატარიძე.

ფოტო ა. ჭელიძისა.

გაზაფხული ვანში

ხელისგულიგით მოჩანს მდინარე რიონის თვალწარმტაცი ჭალები. ასობით ჰექტარი მიწის გული გაეპიათ ტრაქტორები. უკვე გადაუბნავთ ნიადაგი, დაითესა სიმინდი. სწორედ აქ არის ვანელ კოლმეურნეთა უხვმოსავლიანი ჰექტარები. მინდვრად ენერგიული შრომაა გაჩაღებული. ვანელ კოლმეურნეებმა საიუბილეო წლის ამოცანებზე გეგეაუბარა პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ყიფიანი.**

ადგილზე ვნახეთ ალალ-მართალი შრომის ადამიანთა ნაამაგარი. გიჩანია, როცა ხედავ საგულდაგულოდ დამუშავებულ ბაღ-ვენახებს, დაფნის პლანტაციებს, ბოსტნებს.

სოფელ ბზვანის კოლმეურნეობას ამ ორიოდე წლის მანძილზე ენისკენა დაეტყო. ბზვანელების სოფლის ცენტრი ორსართულიანი კაპიტალური ნაგებობებით არის დამშვენებული. აქ შაშვან ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების უხვი მოსავალი მიიღეს. ერთ კაკადზეზე 5 კილოგრამი სიმინდი და ფეტალდ ორი მანეთი და 50 კაპიკი გასცეს, ცნობილი მეკენტეხ **მ. ტყეშელაშვილი** წელს ჰექტარზე 250 ცენტნერი ყურძნის მოეკრიბა. ვენახებს საუკეთესოდ უვლიან მოწინავე კოლმეურნეები **ვ. ხუციძე, კ. ტყეშელაშვილი.**

მაშაშვან ბზვანელებმა 200 ჰექტარი ბალეულიდან საძალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, წელს კი 38 ცენტნერის სიმინდი მიიღეს, ეს ეხება ბზვანელ ბაღ-ვენახელებს.

ჯეჯილეგს კვეგავენ

ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ს. ბახიშვილი) წევრები საიუბილეო წელს დიდი შრომითი აღმავლობით მუშაობენ. მათ რაიონში პირველებმა გაანაღდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. საგაზაფხულო კულტურების თესვა აგროწესების დაცვით შეასრულეს. სათოხნი კულტურების ნათესებში ნიადაგი ფხვიერი და სარეველებისაგან გაწმენდილია. კარგი სანახავია შემოდგომის ჭვავნები. დაიწყეს მათი გამოკვება მინერალური სასუქებით. აქაურები 280 ჰექტარ ნათესზე 4.400 ცენტნერის ნაცვლად 5.325 ცენტნერი ხორბლის მიღებისათვის იბრძვიან.

ნ. ბუძუნაშვილი.

გაზეთი
ინიციატივა

ᲛᲘᲜᲓᲠᲐᲠᲘ საიუბილეო წელს საბჭოთა კავშირის საწარმოებმა და დაწესებულებებმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებებ უნდა განახორციელონ. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით დასახულია ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა. ეს უკვე ხორციელდება. დაგროვდაო ამ საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც ახლებურად მუშაობენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილებით ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების 50-ე წლისთავისათვის უნდა დამთავრდეს.

ახლა საწარმოებსა და დაწესებულებებში დიდი მუშაობა მიმდინარობს. ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა მეტად სერიოზულ და მოფიქრებულ მომზადებას მოითხოვს, წარმოიშვა მრავალი ახალი საკითხი, რომელთა სწორად გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ახლებურად მუშაობის წარმატება.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობენ ქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების გადასვლას ხუთდღიან სამუშაო კვირაზე. საქართველოს დედაქალაქში თავმოყრილია რესპუბლიკის მრავალი საწარმო და დაწესებულება. ამიტომ, ბუნებრივია, ეს უბანი განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს. საქართველოს კპ თბილისის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ ერთობლივ გადაწყვეტილებაში წერია: „საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის რაიონულ კომიტეტებსა და შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ სამინისტროებთან, უწყებებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად დაამუშაონ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის გეგმა და წარადგინონ აუცილებელ მასალასთან და დასაბუთებასთან ერთად საქალაქო კომისიაზე განსახილველად".

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით საინტერესო ინიციატივა გამოიჩინა გაზეთმა „ᲕᲘᲩᲘᲠᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ", რომელმაც სწორად გაიგო დასასრული ამოცანა და თავის ფურცლებზე სისტემატური ადგილი მიუჩინა ახლებურად მუშაობის გამოცდილებას, მომზადებას, წინადადებებსა და სურვილებს რუბრიკით „ᲮᲣᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ". გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში სიტყვა ეძღვნებოდა თბილისის წარმოების მოწინავე ადამიანებს, საწარმოდაწესებულებების ხელმძღვანელებს, ინჟინრებს, მეცნიერებს...

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲛᲘᲜᲓᲠᲐᲠᲘ საიუბილეო წელს საბჭოთა კავშირის საწარმოებმა და დაწესებულებებმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებებ უნდა განახორციელონ. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით დასახულია ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა. ეს უკვე ხორციელდება. დაგროვდაო ამ საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც ახლებურად მუშაობენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილებით ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების 50-ე წლისთავისათვის უნდა დამთავრდეს.

ახლა საწარმოებსა და დაწესებულებებში დიდი მუშაობა მიმდინარობს. ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა მეტად სერიოზულ და მოფიქრებულ მომზადებას მოითხოვს, წარმოიშვა მრავალი ახალი საკითხი, რომელთა სწორად გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ახლებურად მუშაობის წარმატება.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობენ ქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების გადასვლას ხუთდღიან სამუშაო კვირაზე. საქართველოს დედაქალაქში თავმოყრილია რესპუბლიკის მრავალი საწარმო და დაწესებულება. ამიტომ, ბუნებრივია, ეს უბანი განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს. საქართველოს კპ თბილისის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ ერთობლივ გადაწყვეტილებაში წერია: „საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის რაიონულ კომიტეტებსა და შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ სამინისტროებთან, უწყებებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად დაამუშაონ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის გეგმა და წარადგინონ აუცილებელ მასალასთან და დასაბუთებასთან ერთად საქალაქო კომისიაზე განსახილველად".

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ

თუ თბილისის პლასტმასის ქარხნის მწნეხავი დ. გაგნიძე თავის სტატიაში „ᲮᲣᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ სამუშაო კვირის კალენდარი" ძირითად ყურადღებას ახალ პირობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ვაჭრობისა, ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების მუშაობას უთმობს. მანქანათმშენებლობის მუშათა რესპუბლიკური პროფსაბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე ე. ᲩᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ წერილში „ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲗᲐ" ᲞᲘᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲘᲐᲜᲘᲡ გადაუდებლად გადაწყვეტოთ" ყურადღებას შრომის სწორ ორგანიზაციაზე, დასვენების დღეების მაქსიმალურად გამოყენებაზე მუშათა შემოქმედებითი საქმიანობის მობილიზაციასა და კლუბების მუშაობაზე ამახვილებს.

მუშაობის ახალი რეჟიმის წარმატებით განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ქალაქების, მოწინავე საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლას, რომლებიც უკვე გადავიდნენ ორ დასვენებისდღიან სამუშაო კვირაზე. ამ გამოცდილების შესასწავლად ლენინგრადსა და ხაპოროჟიეში გაიგზავნენ თბილისის პარტიული და სამეურნეო მუშაკები. გაზეთ „ᲕᲘᲩᲘᲠᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ" სპეციალური კორესპონდენტები, რომლებიც დელეგაციაში შედიოდნენ ადგილზე გაეცნენ ვითარებას და გაზეთის გვერდი დაუთმეს ქალაქ ლენინგრადის კოლკინოს რაიონის გამოცდილებას, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისიდან პირველი გადავიდა ახლებურად მუშაობაზე.

გვერდი საინტერესოდ, საქმიანად მოვვიფიხრახს კოლკინოს რაიონის საწარმოების მუშაობაზე, იმ უპირატესობაზე, რაც მან მოიტანა იმ მიღწევებზე, რომლებიც უკვე განხორციელებულია, და იმ მოსამზადებელ სამუშაოებზე, რომლებსაც მთელი ქალაქი ეწევა კოლკინელთა გამოცდილების მიხედვით. გვერდში დაბეჭდილია პარტიული და სამეურნეო, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკების წერილები, რომლებიც თბილისელთა გამოცდილებას უზიარებენ თბილისელ მკითხველებს.

მარილაც ბევრი სიახლე შეიძლება ამოიკითხოს აქ კაცმა. გაზეთმა „ᲕᲘᲩᲘᲠᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ" უდავოდ კარგი სამსახური გაუწია თბილისის საწარმოებსა და დაწესებულებებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც აქ ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ.

„ᲕᲘᲩᲘᲠᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ" ამით როდი დაამთავრა მასალების გამოქვეყნება. იგი კვლავ გაგრძელებას ამ თემაზე სტატიებისა და წერილების, ინფორმაციებისა და კორესპონდენციების ბეჭდვას. ნომრიდან ნომერში ცოცხლობს რუბრიკა — „ᲮᲣᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ".

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲭᲘᲗᲐᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). საიუბილეო შეჯიბრების ინიციატორებს ბევრი რაციონალიზატორი ჰყავთ. მარტო ხუთწლედის პირველ წელს მათ საშობლოს მისცეს 839.000 მანეთი დანაზოგი.

მაღაროელმა რაციონალიზატორებმა კარგად დაიწყეს საიუბილეო წელი. პირველ კვარტალში შემოსული 133 რაციონალიზატორული წინადადებიდან დანერგა 45, რომელთა წლიური ეკონომია 331.000 მანეთს უდრის.

წელს დაინერგა დიდი ტექნიკის ნახელობის მაღაროს ენერგეტიკოს ვ. კაპანაძის, საპაეროო-საბაგირო გზის უფროსის ბ. ჩხეიძის, ზეინკალ ბ. კაპანაძის წინადადებები, რითაც 10 ათას მანეთამდე დაიზოგა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის შესახვედრად მარგანეცის მრეწველობაში მიმდინაოეობს რაციონალიზატორულ წინადადებათა დათვალიერება-კონკურსი. გამოვლინდნენ ახალგაზრდა რაციონალიზატორები დ. ფარეულაძე, ო. მწყურვალეი, ო. ჭოიავა, ბ. კვეტენაძე, ა. კვეკენაძე, ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲕᲐᲜᲨᲘ

ᲛᲔᲥᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

რა შეეძრება სუფთა წყალს. წყალი და სიცოცხლე განუყოფელია. ზედმეტია დედამიწაზე წყლის მნიშვნელობის მტკიცება. იგი ადამიანს სჭირდება მისი შემოქმედების ყველა სფეროში და საკუთარივ სიცოცხლისთვისაც, ვინაიდან იძულებულია იმყოფებოდეს წყლის გარემოს აუცილებლობის პირობებში. მაგრამ წყალი ადამიანს ესაჭიროება სალი და უვნებელი.

ამასთან ერთად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადამიანის კულტურული მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია მტკნარი წყლების დიდი რაოდენობით ხარჯვა და ნახმარი წყლების იძულებით ჩაშვება წყალსატევში (მდინარეში, ტბაში, ზღვაში). ამ გარემოებამ განაპირობა მისი ბინძურება და ისედაც შემცირებული წყლის რესურსების უკმარობა. ეს იმიტომ, რომ ასეთი წყალსატევის წყალი უვარგისია საყოფაცხოვრებო ხმარებისათვის. ბინძურებული წყალსატევის წყალი არ გამოდგება საბანაოდ, სარწყავად, სასმელად, პირუტყვისათვის და სხვა კულტურული საჭიროებისათვის.

ბიოლოგიურად გაბინძურებული წყლები ნთქამს წყალსატევის წყალში არსებულ ეანგბადის მთელ მარაგს, უკანგბადოდ კი ოევზს სიცოცხლე არ შეუძლია და იღუპება: ასეთი წყალი შეიცავს შხამიან მინაერთებს, რაც დამღუპველია ცოცხელისათვის, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ ეს გარემო წარმოადგენს ათასგვარ გადამდებ სნეულებათა კერას.

როგორც დაკვირვებებიდან დადგენილია, ერთი კუბური მეტრი ნახმარი — გამუქყიანებული ჩამდინარე წყალი ამინძურებს წყალსატევის ასჯერ მეტ წყლის მოცულობას.

სუფთა წყლის საკითხი ამჟამად მწვავედ დგას. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს დიდ ყურადღებას და წარმოადგენს სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან საკითხს. ეს ამოცანა ამ ბოლო ხანებში ᲩᲠᲝᲔᲚᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲓᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲔᲡᲘᲐᲠᲘᲝᲑᲐ ᲡᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘᲐ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲐᲑᲘᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲠᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲗᲘ. ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲢᲔᲕᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧ

საერთაშორისო ცხოვრება

ისტორიული ვიზიტი

სოფია. „ახალი სიმაღლეებისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ!", „მხარდამხარ კომუნიზმისაკენ!", „მშვიდობის საკეთილდღეოდ" — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ ბულგარეთის ცენტრალური გაზეთები სტატიებს, რომლებიც ეძღვნება ბულგარეთში სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგებს. დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

ჩვენი ისტორიის მატიანეში, ხაზგასმით აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო", ჩაიწერა ახალი სამახსოვრო თარიღი — 1967 წლის 12 მაისი. ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელსაც ამ დღეს მოაწერს ხელი, გვინიშნებს ფართო გზას, რომელსაც მივავალთ ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომი აყვავებისაკენ. ბულგარელ ხალხს მიაჩნია, რომ ეს ხელშეკრულება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებათა მიდწევის ყველაზე საიმედო გარანტიაა. გაზეთი „ზემედელსკო ხალაღ" წერს: მთელი ბულგარელი ხალხი, მათ შორის გაერთიანებული მიწათმოქმედნი სულითა და გულით მიესალმებიან ბულგარეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ისტორიული ვიზიტის შედეგებს.

ანტონინ ნოვოტნი ქანადაში

ოტავა, 15 მაისი. (საკდესი). ხუთი დღის ვიზიტად კანადაში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი. მას ახლავან საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი და სხვა ოფიციალური პირნი.

საპატიო სტუმრის პატივსაცემად კანადის გენერალ-გუბერნატორმა რ. მინინერმა და პრემიერ-მინისტრმა ლ. პირსონმა გუშინ აქ დარბაზობა გამართეს.

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი მოლაპარაკებას გამართავს კანადის მთავრობის ხელმძღვანელებთან, 16 მაისს კი მონაწილეობას მიიღებს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დღის მოწყობაში, რომელიც მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-67" გაიმართება.

თურქმენეთის დღე მონრეალში

მონრეალი, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ საზეიმო განწყობილება იყო მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67"-ის საბჭოთა პავილიონში. მოიწყო თურქმენეთის დღე. გამოფენილი იყო სახალხო ხელმარჯვე ოსტატთა განთქმული ხალიჩები და უნიკალური ნაწარმი, ბამბის პლანტაციების დიორამები და რთული ინდუსტრიული აგრეგატები, ცნობილ მხატვართა სურათები, წიგნები.

ექსპოზიცია ნათელ წარმოდგენას იძლევა, თუ როგორ გარდაიქმნა რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე საბჭოთა ხელისუფლების წლებში და ავიდა თანამედროვე ცივილიზაციის მწვერვალზე, შექმნა თავიის განვითარებული მრეწველობა, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ზეაღი ეროვნული კულტურა.

ავტორიტეტულ დამთვალიერებლებმა მოუსმინეს თურქმენეთის დელეგაციის მეთაურს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. მ. კლიჩეევს, რომელმა გამოსვლა გადაიცა ტელევიზიით. საგელევიზიო ეკრანებზე აჩვენეს დოკუმენტური ფილმები, რადიოთი გადასცეს თურქმენული მუსიკა და სიმღერები, გაიმართა თურქმენ. მსახიობთა კონცერტი. ამ დღეს საბჭოთა პავილიონი დაათვალიერა ას თორმეტი ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა.

ალვკვეთოთ რეაქციის თ ა რ ე შ ი!

რუსთავი, 15 მაისი. (საკდესი). რუსთავის საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა მიტინგები, რომლებზეც მშრომელები მრისახე პროტესტს გამოთქვამენ ომის წინააღმდეგ, რომ რეაქციონერები ებრძვიან გაუსწორდნენ სახალხო გმირს, გამოჩენილ ბერძენ საზოგადო მოღვაწეს მანოლის გლეზოსსა და სხვა პატრიოტებს.

აზოტიანი სასუქის ქარხნის ელექტროზენიკალმა ზ. ა. არეშიძემ ქრიფერ კომბინატში გამართულ მიტინგზე თქვა:

— ბერძენ ხალხს მძიმე ტრაგედია დაატყდა თავს. საბერძნეთში დამყარებულია ამჟამა ფაშისტური დიქტატურის რეჟიმი, ფეხქვეშ გათელილია კონსტიტუცია, დამლილია პოლიტიკური პარტიები, ათასობით პატრიოტი ჩამწყვდეულია საპყრობილეებში, იმათ შორის, ვისაც სიკვდილით დასჯა ემუქრება, არის აკროპოლის რაინდი მანოლის გლეზოსი. მოვითხოვთ გაათავისუფლონ ყველა დაპატიმრებული, აღადგინონ კონსტიტუციური და პარლამენტური თავისუფლებანი!

— დარწმუნებული ვართ, — განაცხადა კაბროლაქტამის ქარხნის ცალის უფროსმა ა. ამაიანემ, — რომ რეაქციის თარეში საბერძნეთში მარცხით დამთავრდება. საბერძნეთი აღადგენს დემოკრატიას!

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც რუსთაველი მშრომელები მოითხოვენ გაათავისუფლონ მანოლის გლეზოსი, შეწყვიტონ რეაქციის თარეში საბერძნეთში.

გ ლ ე ზ ო ს ი — ე ლ ა დ ი ს ლ ე გ ე ნ დ ა

მ ი ნ დ ა ვიყვარო სირცხვილისა და რიხვის გამო. გლეზოსი, მანოლის გლეზოსი, ვისი სახელიც, სიცოცხლე, მოღვაწეობა ბერძნულ ლეგენდად იქცა. საპყრობილეში ჩადგდეს. მას ემუქრება ახალი პროცესი ან გაუსამართლებლად დაჯა. ოფიციალური უარყოფა ვერ დაამშვიდებს იმათ, ვინც იცის, რა არის ფაშიზმი. ჩვენ ვიცნობთ იმათ, ვინც რეგვენში აიღო ადამიანზე, 1941 წლის 30 მაისს სვასტიკიანი დროშა რომ ჩამოჰგლიჯა აკროპოლს. „ვინ" — ეს არის მეფე კონსტანტინე, რომლის ორი ბიძა მაშინ ესესელი იყო, ეს არის — დედოფალი-დედა, რომელიც „ჰიტლერიუგენდის" წევრი გახლდათ.

პოლკოვნიკმა პაპადოპულოსმა ბრძენის სახე მიიღო და ისე განაცხადა, მორალი გადარჩენილიაო: პოეტი ანის რიცოსი საპყრობილეშია, კომპოზიტორი თეოდორაკისი საპყრობილეშია, მწერალი ვასილიასი საპყრობილეშია...

შეხედეთ 1967 წლის მსოფლიოს: არ არის კონტინენტი, რომ იქ შეერიებულ შტატებს ამმოხება, შეთქმულება, მკვლელობა არ მოეწყოთ, როცა რომელიმე ხალხი აირჩევს გზას, რომელიც ოფლ-სტრიტს არ მოეწონება, მას ალყას არტყამენ როგორც ლეგიონს, იპყრობენ როგორც სანტოდომინგოს, ბომბავენ როგორც ვიეტნამს. როცა რომელიმე დიქტატორს საფრთხე ემუქრება ხალხის მხრიდან, ამერიკელი მრჩევლები ეხმარებიან დიქტატორს. ასეა ეს კოლუმბიაში, ასეა ბოლივიაში, ასეა ცენტრალურ ამერიკაში. როცა რომელიმე ხალხი აირჩევს ან ცდილობს აირჩიოს დემოკრატიული გზა, „დიდი ამერიკული დემოკრატია" აწყობს შეთქმულებას, ხპობს კანონიერებას, თავს აბეზეს ხალხს თავის ლაქიებს: გადარჩენილ ნაცისტებს, მათს მეფურ უდიდებულესობებს, ულტრამემარჯვენე პარტიებს. და ვარსკვლავ-ზოლიანი დროშის მწყალობლურ ჩრდილში იღვრება სისხლი: აზიელთა სისხლი, აფრიკელთა სისხლი, ბერძენთა სისხლი. ძველათ, როცა ბოროტმოქმედები ხდებოდა, იტყოდნენ: „ეძებეთ ქალი"; როცა ბოროტმოქმედება ჩვენს დროში ხდება, ხალხები ამბობენ: „ეძებეთ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი!". მაგრამ „გლეზოსი! ნუთუ ჩვენ ნებას მივცემთ ესესელთა ძმისწულსა და „ჰიტლერიუგენდის" ყოფილ წევრს გაუსწორდნენ გლეზოსს?

დაე იცოდნენ ნიუ-იორკში, ასევე ათენში — გმირები მეტად მნიშვნელოვანი ფიგურები არიან, და მარტო თავიანთ ხალხებს როდი ეკუთვნიან. მათი ჯალათები მწარედ შეცდებიან, თუ იფიქრებენ, შურისგებას გავეცლებოთო.

ანდრე ვიშინსკი,
ფრანგი პუბლიცისტი.

დაეხსენით ვიეტნამს!

ფხენიანი. ამერიკელ იმპერიალისტთა უგუნური ცდა, გააფართოონ ვიეტნამის ომი, არა მარტო დანაშაულია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ანგუშად აგდებაა, წერს გაზეთი „ნოდონ სინმუნნი". კორეელი ხალხი, წერს გაზეთი, რომელსაც ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ მიაჩნია აგრესიად კორეის წინააღმდეგ, გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოთქვამს ომის გამო, რომ ამერიკელი იმპერიალისტები თავზედურად და უგუნურად ცდილობენ გააფართოონ ვიეტნამის ომი.

ულანბატორი. „დაეხსენით ვიეტნამს!" — ასეთი ლოზუნგით გაიმართა მიტინგი უნივერსიტეტში. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა შვეიცარიის პარლამენტის დეპუტატმა, შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა უან ვენსანმა, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა ვიეტნამელ ხალხს, დაგმო ამერიკის ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში და ამერიკის თვითმფრინავების მეკობრული თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ბინძურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

რომი. იტალიელმა კომუნისტმა პარლამენტარებმა მთავრობას მოსთხოვეს „პირდაპირ და არაორაზროვნად" განაცხადოს, რომ „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და მის წინააღმდეგ ყველა სხვა ტერორისტული მოქმედების შეწყვეტა იტალიას მიაჩნია ვიეტნამის პრობლემის გადაჭრისათვის მოლაპარაკების მთავარ პირობად, რაც უნდა მოხდეს ვიეტნამის დამოუკიდებლობისათვის, დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობისათვის". ამ მოხოვნას შეიცავს შეკითხვა, რომელითაც მთავრობას მიმართავ სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრ-კომუნისტთა ჯგუფმა. შეკითხვაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ამჟამად შეერთებული შტატები ახორციელებენ საომარი მოქმედების ესკალაციას ვიეტნამში.

უარაჩი. პაკისტანელი ხალხი გულისწყრომით ვმობს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში და ერთსულოვნად უჭერს მხარს ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს განაცხადეს ორატორებმა, რომლებიც გამოვიდნენ აღმოსავლეთ პაკისტანის დედაქალაქ დაკაში გამართულ საპროტესტო მიტინგზე. მიტინგი მოაწყო ეროვნულმა სახალხო პარტიამ. (საკდესი).

ამერსონრთა ზარალი

ჯენოი, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას. აგრესორებმა დაკარგეს 7 თვითმფრინავი. ჰანოისა და მის გარეუბნებში ჩამოაგდეს 4, ხოლო თხანჰოის პროვინციაში — 3 თვითმფრინავი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წარმატება

ჯენოი, 15 მაისი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა, რომლებიც მოქმედებენ ტრუნგბოს ოლქში, სადაც შედის სამხრეთ ვიეტნამის ყველაზე ჩრდილოეთი პროვინციები, ზუთთვეში (1966 წლის ნოემბრიდან მომდინარე წლის მარტამდე) დახოცეს, დაჭრეს ან ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგის 66.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 34.000 ამერიკელი და 4.000 მათი სამხრეთკორეელი მარიონეტი. ეს ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის სარდლობამ გამოაქვეყნა.

კომუნიკე გადასცა ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ, რომელმაც დაიმოწმა განთავისუფლების საავგენტო.

„გაფთრებულ ბრძოლებში, აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, ჩამოგდებული ან დაზიანებულია 728 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, მოსპობილი ან მწყობრიდან გამოყვანილია 15.000-მდე სამხედროლ მანქანა (მათ შორის 360 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი), 17 საარტილერიო ქვემეხი და დიდძალი სამხედრო საჭურველი და საწვავი. სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ხელში ჩაიგდეს ავრეთვე 2.500 ერთეულზე მეტი სხვადასხვა სასროლი იარაღი და დიდძალი სამხედრო საჭურველი.

ირანის მმართველი პარტიის ყრილობა

თეირანი, 15 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ნენაშევი და „იზვესტიის" კორესპონდენტი ა. შარიფოვი იუწყებიან:

გუშინ თეირანში გაიხსნა ირანის მმართველი პარტიის — „ირანე ნოვინის" ყრილობა. ეს პარტიის პირველი ყრილობაა მისი დაარსების შემდეგ, რაც 1963 წელს მოხდა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 1200 დელეგატი. ესწრებიან სახელმწიფოთა მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლნი.

ყრილობა განიხილავს პარტიის პროგრამას, მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ავრეთვე საორგანიზაციო საკითხებს.

პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. ჰოსროვანიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „ირანე ნოვინის" პარტიის საქმიანობას საფუძველად უდეს იმ სოციალური რეფორმების განხორციელების პრობლემები, რომლებიც 1963 წელს დაიწყო ირანში. ამ რეფორმების მიზანია ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაცია ირანის სოფელში. მრეწველობის განვითარება, მოსახლეობის წიგნიერებისა და კულტურულ დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება, აგრეთვე ქალთა თანასწორუფლებიანობა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესება.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ირანის პრემიერ-მინისტრმა ჰოვეიდამ. მან, კერძოდ, თქვა, რომ ამ უკანასკნელ წლებში ირანი დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე საძირკველს უყრის მძიმე მრეწველობას, ხმარობს ღონისძიებებს, რომ გაადიდოს სახელმწიფოს წილი იმ შემოსავალში, რომელსაც უცხოეთის ნავთობის კომპანიების მიერ ბუნებრივ ნავთობის სიმდიდრეთა ექსპლოატაცია იძლევა, რომ უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ირანის ეროვნული ნავთობის კომპანიის საქმიანობის განვითარებისათვის. დელეგატები დიდი მოწონებით შეხვდნენ პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ ისპაანის რაიონში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობით, რომელიც, როგორც ცნობილია, აიგება საბჭოთა კავშირის დახმარებით, ირანში საძირკველი ეყრება მძიმე ინდუსტრიას. ჰოვეიდამ ხაზი გაუსვა, რომ ირანის მთავრობა ორმოც წელიწადს აწარმოებდა ამ საკითხზე დასავლეთის ფირმებთან მოლაპარაკებას, რომელიც მუდამ უშედეგოდ მთავრდებოდა. ირანის პრემიერ-მინისტრის სიტყვით, ირანელი ხალხის დიდი ხნის ოცნების განხორციელება შესაძლო გახდა დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის განხორციელების შედეგად.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ჰოვეიდამ აღნიშნა, რომ ირანს საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცება სხვადასხვა ქვეყანასთან და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება.



სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გემსაშენებელ ქარხანას. იგი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაშია, ქალაქ გდანსკში. ამ გემსაშენს ამას წინათ მიენიჭა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი. იმ საზეიმო დღეს, როცა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გამოცხადდა ცნობა ქარხნისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების შესახებ, წყალში ჩაშვებულ იქნა თეკზსაბერი ბაზა „პომოეე". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გემთმშენებლებმა საერთოდ საექსპლოატაციოდ გადასცეს ორი მილიონი ტონა დედვეიტის წყალწყვის ხომალდები.

გდანსკელ გემთმშენებელთა ანგარიშზეა 440 გემი. ყველაზე დიდი დამკვეთისათვის — საბჭოთა კავშირისათვის აქ აშენდა ერთნახევარ მილიონ დედვეიტზე მეტი ტონაჟის 342 ხომალდი. გდანსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანაში 17.500 კაცი მუშაობს. აქვეა სკოლა, რომელიც ორი ათასზე მეტ ახალგაზრდა მშენებელს ამზადებს.

გემსაშენს კოოპერაციული ურთიერთობა აქვს მრეწველობის სხვადასხვა დარგის 700-ზე მეტ საწარმოსთან. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება წელიწადში დაახლოებით 5,5 მილიარდი ზლოტია.

ახლა გემთმშენებელთა კოლექტივი შრომითის შეკიბრებაშია ჩაბმული და აქტიურად ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავს.

შვეიცარიის კომპარტიის ფორუმზე

სტოკჰოლმი, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე განაგრძეს პარტიის პროგრამის პროექტის განხილვა. სხდომის დაწყების წინ წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რასაც დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

წესდების პროექტის შესახებ მოკლე სიტყვა წარმოთქვა შვეიცარიის კომპარტიის გამგეობის წევრმა რ. უტბერგმა.

ყრილობამ გადაწყვიტა მიიღოს გამგეობის რეკომენდაცია და ახალი გამგეობის შემადგენლობაში აირჩიოს 30 წევრი და 10 კანდიდატი.

შემდეგ შვეიცარიის კომპარტიის თავმჯდომარემ კ. ბ. ჰერმანსონმა გააკეთა მოხსენება „შეარცხვინე ძალების ორგანიზაციული ფორმები და პარტიის სახელწოდება".

საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციათა განცხადება

ფხენიანი, 15 მაისი. (საკდესი). ახლა, როცა ამერიკელი იმპერიალისტები აძლიერებენ აგრესიულ ომს ვიეტნამში, ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენი ორგანიზაციების საშუალებით მივაღწიოთ მოქმედების ერთობას და შევქმნათ ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ერთიანი ფრონტი. ეს ნათქვამია საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების განცხადებაში, რომლებიც კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყვნენ 1 მაისის ზეიმის გამო.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა, აღნიშნულია განცხადებაში, სამხრეთ კორეა გადაქციეს თავიანთ კოლონიად და სამხედრო ბაზად შორეულ აღმოსავლეთსა და აზიაში. ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, რომლებიც აძლიერებენ პროვოკაციულ მოქმედებას დემილიტარიზებული ზონის რაიონში, უალრესად ამწვავებენ დაძაბულობას. ჩვენ გბდაკვრით ვამბობთ ამ დანაშაულებრივ მაქინაციებს კორეის მშვიდობიანი გაერთიანების წინააღმდეგ და მოვითხოვთ გიიყვანონ ამერიკელ მთელი ჯარები სამხრეთ კორეიდან. კორეის გაერთიანების საკითხი თვითონ კორეელმა ხალხმა უნდა გადაჭრას გარეშე ჩაურევლად.

საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოლიდარობით ეკიდებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს.

ამ განცხადებას ხელს აწერენ იზბელა ბლუმი — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წარმომადგენელი, აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, ეურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის, სრულიად აფრიკის პროფკავშირთა ფედერაციის, არაბეთის პროფკავშირთა საყოველთაო ფედერაციის, ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები.

საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციათა განცხადება

ულანბატორი, 15 მაისი. (საკდესი). ულანბატორში ამერიკელ იმპერიალისტებს ბოლო ბოლოს ეუბნებიან, ხელი აიღეთ ვიეტნამელ ხალხზე, ეს ასეა ულანბატორში 1 მაისის ზეიმზე ასეთ ლოზუნგებს ატარებდა ულანბატორის ბანაკების, ფაბრიკების, ინსტიტუტების, ბაზრების, ბანკების, ბიბლიოთეკების, ბანოების, ბინადრობის, ბინადარ ბინადრობის, ბინადარ ბინადრობის, ბინადარ

ხელოვნების ზეიმი სიღნაღში

შაბათ დილიო თბილისიდან კახეთისაკენ გაემგზავრა ავტომანქანების დიდი კოლონა. ავტომანქანებში ისხდნენ ქართველი მხატვრები, რომლებიც სიღნაღში მიიწვიეს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნაზე.

სიღნაღი რამოსულებს სადღესასწაულოდ მორთული, კახური სტუმართმოყვარეობით შეხვდა. ქუჩებში გამოკიდული იყო ტრანსპარანტები და ლოზუნგები, რომლებითაც ესალმებოდნენ ქართველ მხატვრებსა და მოქანდაკეებს. რაიონული ცენტრის დათვალიერების შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ სოფელ მირზაანში, სადაც ნიკო ფიროსმანაშვილი დაბადა. ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სტუმრები სიღნაღში დაბრუნდნენ.

დღის ოთხ საათისათვის ახალი მუზეუმის შენობასთან შეიკრიბნენ სიღნაღის მშრომელები, მოსწავლეები, რაიონის ინტელიგენცია, მეზობელი რაიონებიდან და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები.

საპატიო სტუმრები სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ადიან.

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ელასაშვილმა შესავალი სიტყვით გახსნა საზეიმო მიტინგი და სიღნაღის რაიონის მშრომელთა სახელით დიდი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, საქართველოს მხატვართა კავშირს, თბილისის სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეას, რომლებმაც ბევრი შრომა მოახმარეს მუზეუმის ფონდის შექმნას.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ზ. ლეჟავამ სიღნაღელებს მიულოცა ახალი მუზეუმის გახსნა და, თქვა, რომ ქართველი მხატვრებისათვის სიღნაღი თავისი განუმეორებელი სილამაზით ყოველთვის იყო შთაგონების უშრეტი წყარო.

სტუმრები და შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ძველანაგელი კოლმეურნის გ. ბეგიაშვილის გამოსვლას. დიდი მადლობა ასეთი საჩუქრისათვის, — თქვა მან, — დაე ასეთი მუზეუმები ჩვენი მშვენიერი რესპუბლიკის ყველა რაიონში შექმნილიყოს.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს სახალხო მხატვარი რუხთაველის პრემიის ლაურეატი ლ. გუდიაშვილი, სამხატვრო აკადემიის რექტორი ა. ქუთათელაძე, სამხატვრო აკადემიის პროფესორები ნ. კანდელაკი, კ. სანაძე. სიღნაღის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ი. სიმონიშვილი, მოქანდაკე რ. ამიროვი.

მუზეუმის გახსნაზე სიხარულით ილაპარაკეს მწერალმა ს. ბეგიაშვილმა, პროფესორებმა, წარმოშობით სიღნაღელებმა ა. გზირიშვილმა და გ. გოზალიშვილმა.

ცერემონიალის შემდეგ ლენტი გადაკვეთა ზ. ლეჟავამ. მუზეუმს აქვს 200 ნახატი, გრაფიკული ნაწარმოები, ქანდაკება, რომლებიც საჩუქრად უძღვნა 147 მხატვარმა და მოქანდაკემ. ახლა მუზეუმის ფონდი, რომელიც სისტემატურად შეივსება, 150 ათას მანეთზე მეტად არის შეფასებული.

მუზეუმის ექსპონატების ავტორები არიან სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საქართველოს სახალხო მხატვრები ი. ნიკოლაძე, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, ი. ვეფხვაძე, ს. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, რ. სტურუა, ხ. მაისაშვილი, საქართველოს დამსახურებული მხატვრები თ. ამაკელია, თ. ლვინიაშვილი, გ. ჩერნიშევი, კ. ჭანკვეტაძე, ა. ვეფხვაძე, ბ. ავალიშვილი, თ. ჭყონია, მხატვრები ც. შანშიაშვილი, ზ. გოგოლაშვილი, ვ. ადვაძე, თ. მირზაშვილი, რ. ამიროვი, გ. კალაძე, მ. თარიშვილი, ე. მაჟაშვილი, ნ. მიანსაროვა-იოსელიანი, ბ. მანაგაძე, ნ. მალაზონია და სხვები.

მუზეუმი გახსნის დღეს ასობით მშრომელმა დაათვალიერა. (საქ-დესი).

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

პ. ყურაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პედიატრი და მეცნიერი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ორგანიზატორი, დოცენტი პიმენ [illegible] ... ძე ყურაშვილი.

პ. ყურაშვილი დაიბადა 1911 წელს სოფელ ალვში (ცაგერის რაიონი) მასწავლებლის ოჯახში. 1935 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მოწვეული იყო სასუშაოდ ამავე ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრაზე ორდინატორად, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კი ასისტენტად. 1942-1943 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

1943 წელს პ. ყურაშვილმა დაიცვა დისერტაციის და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1945 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის ასისტენტად, ხოლო 1951 წლიდან ამავე კათედრაზე დოცენტად. ამ პერიოდში იგი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პედიატრთა კადრების აღზრდის საქმეში.

1959 წლიდან მუშაობდა საფეკულტეტო პედიატრიის კათედრის გამგედ. სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორად, ხოლო 1960 წლიდან, საქართველოს პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დაარსებისას, დაინიშნა დირექტორად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

პ. ყურაშვილი 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მას მზად ჰქონდა საყურადღებო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციისათვის.

პ. ყურაშვილი 1943 წლიდან იყო სკკპ წევრი. აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ორი ორდენით და მედლებით. იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

პ. ყურაშვილი არჩეული იყო საქართველოს პედიატრთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ. საკავშირო პედიატრთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოში პედიატრიის სამეცნიერო საქმის დიდი ორგანიზატორი, თაგმდაბალი. გულისხმიერი ადამიანი, შესანიშნავი მეგობარი, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა შორის, ამხანაგებში და ფართო საზოგადოებრიობაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. საქართველოს სს რესპუბლიკის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ანგარიშის გათანაბრება შეიძლებოდა

„არარატი" (ერევანი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (1:0), ერევანი. 15 მაისი. რესპუბლიკის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი ვ. ხლოდინი (მინსკი).

„არარატი" — ა. აბრამიანი, სეროპიანი, ფ. აბრამიანი, ოვსეპიანი, იუმაკულოვი, მესროპიანი, სარქისიანი (აბამალიანი), ზანაზანიანი, ეგიაზარიანი, კოგალენკო, კაზარიანი; „ტორპედო" — კვასსაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ძოძუაშვილი, ძაგანია, წვერავა, ერემოსიშვილი, ვეშუა, ხაჟალია. ჭითანავა.

მაგრი მასპინძლების უპირატესობით დაიწყო. თავიდანვე ქუთაისელ მცველებს ცოტა ჯაფა როდი დაადგათ. მე-13 წუთზე პარტნიორობამ კარგად გაიყვანეს წინ კოვალენკო და ამ უკანასკნელმაც ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევრის ბოლო წუთებში ქუთაისელთა უპირატესობა ამაკარა იყო, მათ შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ხელსაყრელ მომენტები გაფუჭებულ დარტა. გაიმარჯვეს ერევნელებმა 1:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩზეც წარმატება „არარატს" ხვდა 2:0.

ლიდერთა ფრე ბაქოში

„ნეფტჩანიკი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (1:1). 15 მაისი. რესპუბლიკის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

„ნეფტჩანიკი" — ჯაფაროვი, ბოგდანოვი. ბრუტტი, სემიგლაზოვი, ბაბაევი, ტრიფონოვი, გაჯიევი, ტუაევი, მარქაროვი, აბდულაევი, ზეინალოვი; „დინამო" — ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა (კუტივაძე). შერგელაშვილი, ბეღლიძე, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი.

მატჩისადმი ესოდენ უჩვეულო ინტერესი მეტოქეთა სატფრნირო მდგომარეობით, იყო გამოწვეული.

წინა შეხვედრისაგან განსხვავებით ორივე გუნდს მნიშვნელოვანი ძალა შეემატა ჩვენი ნაკრების მოტლანდიიდან დაბრუნების შემდეგ — თბილისელებს ხუციშვილი, ბაქოელებს — მარქაროვი. შეჯიბრებას წითელ ზოლად გასდევდა მაღალი ტემპი და გამარჯვების უჩვეულო წყურვილი.

ბაქოელებმა პირველ წუთებშივე ზედიზედ იერიში მიიტანეს „დინამოს" კარზე. იყო მომენტი, როცა გოლი თითქოს გარდუვალად გვეპარებოდა. მაგრამ ურუშაძემ იხსნა თბილისელთა კარი. მალე თამაში გათანაბრდა, შემდეგ კი ინიციატივა ხელი იგდეს დინამოელებმა. მე-12 წუთზე ასპრეზანს ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ ოდნავ დააყოვნა, ვერ მოუსწრო ლათუნაშვილს მიერ კარის გასწვრივ ნაწოდებულ ბურთს.

28-ე წუთზე საკარიერო დარტყმის შემდეგ მეტად ძნელი ბურთი მოიგერია ჯაფაროვმა. ერთი წუთის შემდეგ კი მშვენიერად ჩაძოწოდა ბურთი კუთხურიდან მეტრეველმა და თავური დარტყმით დათუნაშვილმა ანგარიში გახსნა. მასპინძლებს ტემპი არ შეუნელებიათ, პირიქით მოქმედებდნენ ძალთა მთელი მობილიზებით, შემტევ სტილში. და აი მათ ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე წონასწორობა აღადგინეს. ეს მოხდა ასე: ერთ-ერთ ეფექტურ კომბინაციას მოჰყვა მოულოდნელი დარტყმა, ურუშაძემ ძოიგერია ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო მარქაროვმა და საპასუხო ბურთი გაიტანა.

მეორე ნახევარში მასპინძლებს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ვერ შეძლეს „დინამოს" მასირებული დაცვის გარღვევა. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. დინამოელები 5 გასვლითი თამაშიდან თბილისში 8 ქულით ბრუნდებიან — ჩინებული შედეგია!

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი დამთავრდა 0:0.

მატჩეგი და შედეგები

14 და 15 მაისს შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩები.

კვირას მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივი" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

დეგიუტანტს — ლეგანსკის „ზარიას" საკუთარ მოედანზე მატჩი ჰქონდა მინსკის „დინამოსთან" და დამარცხდა 0:1.

მატჩი მოსკოვში დედაქალაქის „ტორპედოსა" და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 2:1.

მეცხრე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ შეჯიბრებას წარმოადგენდა მატჩი დონის როსტოვში არმიის სასპორტო კლუბისა და ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის მოსკოვის „დინამოს" გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა 4:1.

დონეცკში ერომაწეთის შეხვედრენ „შახტიორი" და მოსკოვის „სპარტაკი". მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო" ტაშკენტს ეწვია და აქ მატჩი ჰქონდა ადგილობრივ „პახტაკორთან". გაიმარჯვეს კიეველებმა 2:0.

მატჩი ალმა-ათაში „კაირატსა" და ოდესის „ჩერნომორეცს" შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

„ა" კლასის მეორე ჯგუფში

გუშინ გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

თბილისში თამაშობდნენ აღგილობრივი „ლოკომოტივისა" და გომელის „სპარტაკის" გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა 2:1.

ტყიბულის „მეშახტე" რიგას ეწვია და აქ შეხვედრა ჰქონდა ადგილობრივ „დინამოსთან". მატჩის შედეგია ფრე 0:0.

მატჩი კალინინგრადში „ბალტიკისა" და ბათუმის „დინამოს" გუნდებს შორის დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით 1:0.

საფარიკაო გილიკეგზე

თბილისში დამთავრდა უკრაინის, ბელორუსიის, ლენინგრადისა და საქართველოს მოფარიკაეთა გუნდების სამატჩო შეხვედრა. ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა სპორტული სპარტაკიადის წინ ძალთა მოსინჯვა. გენერალური რეპეტიცია იყო.

ფლიერი გუნდი გამოიყვანა უკრაინამ და პირველობაც მას ხვდა. საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

ბ. ჟურაშვილი

ანგარიშის გათანაბრება შეიძლებოდა

„არარატი" (ერევანი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (1:0), ერევანი. 15 მაისი. რესპუბლიკის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი ვ. ხლოდინი (მინსკი).

„არარატი" — ა. აბრამიანი, სეროპიანი, ფ. აბრამიანი, ოვსეპიანი, იუმაკულოვი, მესროპიანი, სარქისიანი (აბამალიანი), ზანაზანიანი, ეგიაზარიანი, კოგალენკო, კაზარიანი; „ტორპედო" — კვასსაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ძოძუაშვილი, ძაგანია, წვერავა, ერემოსიშვილი, ვეშუა, ხაჟალია. ჭითანავა.

მაგრი მასპინძლების უპირატესობით დაიწყო. თავიდანვე ქუთაისელ მცველებს ცოტა ჯაფა როდი დაადგათ. მე-13 წუთზე პარტნიორობამ კარგად გაიყვანეს წინ კოვალენკო და ამ უკანასკნელმაც ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევრის ბოლო წუთებში ქუთაისელთა უპირატესობა ამაკარა იყო, მათ შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ხელსაყრელ მომენტები გაფუჭებულ დარტა. გაიმარჯვეს ერევნელებმა 1:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩზეც წარმატება „არარატს" ხვდა 2:0.

რეპ შეხვედრა — რეპ მოგება

საფრანგეთში ტურნე დაამთავრა თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა და სამშობლოში დაბრუნდა.

გუშინ რედაქციას ეწვია გუნდის მწვრთნელი ბ. შარაშიძე და მოგვითხრო საფრანგეთში გამართულ შეხვედრებზე, შთაბეჭდილებებზე.

— ჩვენი ტურნე საფრანგეთში ნაყოფიერი იყო, — თქვა ბ. შარაშიძემ. მეტად კმაყოფილი ვართ ფრანგთა სტუმართმოყვარეობით, მათი გულთბილი მიღებით. ბევრ ქალაქში ვიყავით და მატჩებიც საკმაოდ გვქონდა.

მართალია, ხელბურთი საფრანგეთში სპორტის შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ მან უკვე ფართოდ გაიდგა ფესვები. იმ ქალაქებში, სადაც ჩვენი ხელბურთელები გამოდიოდნენ, ყოველთვის დიდძალი მაყურებელი იყრიდა თავს. არ შეუფუდგები ცალეული მატჩების გარჩევას, მაგრამ შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩვენი ხელბურთელები წარმატებით იბრძოდნენ — რვა შეხვედრიდან რვაკე მოიგეს. აი ვინ დაამარცხეს თბილისელებმა: მელეუზის ფკმ — 29:23, სოშოს ნაკრები — 33:29, ბეზანსონის ნაკრები — 34:23, პარიზის „სტელ ხვორტი" — 25:24, პარიზის გარეუბნის კოლომბის ნაკრები—23:19, ვალენციენის ნაკრები — 23:19, ლიონის ნაკრები — 30:20 და ბოლოს კვლავ კოლომბოს ნაკრები — 19:18. ამ უკანასკნელ შეხვედრას ხაზგასმული ხასიათი ჰქონდა.

ხელბურთის ფრანგი სპეციალისტები და პრესა თბილისელ ხელბურთელთა თამაშს მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

მეირე შესვენების შემდეგ კვლავ შევუდგებით მზადებას მომავალი პასუხსაგები ასპარეზობებისათვის. ეს იქნება საერთაშორისო მატჩი თბილისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელბურთელებთან. შემდეგ ტურნე იუგოსლავიაში და ბოლოს საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები.

სპორტული ქრონიკა

⊙ **ერევანში** რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ასპარეზობა სპორტულ ტანვარჯიშში. კათამაშებული ექვსი პრიზიდან ოთხი სსრ კავშირის ათლეტურმა ჩემპიონმა ვ. ლისიცკიმ მოიპოვა. ორი პრიზი ფინელ ოლლაიხოს ხვდა.

⊙ **ტბილისში** გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში იუგოსლავიისა და ალბანეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს იუგოსლავებმა ანგარიშით 2:0. იუგოსლავიის ნაკრები 4 ქულით მეოთხე ჯგუფის ლიდერია.

⊙ **ბრძოლდება** მშვიდობის ველორბოლა მარშრუტით ვარშავა-ბერლინი-პრაღა. უკვე გავლილია ექვსი ეტაპი, დისტანციის მესამედი.

13 მაისს შედგა მეხუთე ეტაპი მარშრუტით სლავნო-ოშოლინი (42 კილომეტრი). აქ ყველას სძლია საფრანგეთის ველოსპორტსმენმა ბ. ჰეინტელმა. დრო — 1 საათი, 5 წუთი და 9 წამი. კვირას გაიმართა მეექვსე ეტაპი მარშრუტით ოშოლინი-შჩეცინი, რომლის დისტანცია 160 კილომეტრს წარმოადგენდა. აქ წარმატება ხვდა ბელგიელი ველოსპორტსმენს ბ. სერპენტის.

გუშინ ველოსპორტსმენები ისვენებდნენ. ექვსი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერია ივან სპოლიანი (ჩეხოსლოვაკია).

⊙ **იწყება** ფეხბურთში სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლის მეოთხე წესიერი ეტაპი. 19 მაისიდან მატჩები ეჭიბრთან „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებს. ამ დღეს შედგება მეოთხეფინალური შეხვედრები. თბილისის „დინამო" ითამაშებს ციხინვალში ადგილობრივ „კილინა სოვეტოვთან", „ტორპედო" მოსკოვში „ლოკომოტივთან".

რედაქტორი

დ. მეტლიშვილი.

პირველი ლაურეატები

ახალგაზრდობის თემებზე შექმნილი ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია მიენიჭათ:

რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ **რევაზ ლაღიძეს** ნაწარმოებებისათვის: „ახალგაზრდობის სიმღერა", „კანტატა საქართველოზე", „გვიხმობს სამშობლო", „სიმღერა მეგობრობაზე", „კანტატა ლენინზე", „აფრინდი, დილის ნიავო", „სიმღერა სამშობლოზე", „სიმღერა თბილისზე".

რეჟისორებს **ელდარ შენგელაიასა** და **თამაზ მელიქიავას**, სცენარისტს **მერაბ ელიოზიშვილს** მხატვრული კინოფილმისათვის „თეთრი ქარავანი";

მხატვარ **დიმიტრი ერისთავს** ნახატებისათვის: „გოგონები", „კლასობანა", „იების გამყიდველი", „ქვისმთლელები", „კალთაბურთი", „საბავშვო ბაღი", „მუზეუმში", „დილა", „გაზაფხულზე";

პოეტ **ჯანსუღ ჩარკვიანს** პოემისათვის „მუდელერ — მზე მიდის" და ლექსთა კრებულისათვის „აყვავებული მზე" და „ფერადი მეოდიანები". (საქ-დესი).

მთიელთა კინოდამსახურება

ჯავის რაიონის საკოლმეურნეო სოფლების მშრომელებს მომსახურებას უწევს 12 სტაციონარული და 6 მოძრავი კინოდანადგარი. საიუბილეო წლის ოთხ თვეში უკვე გაიმართა 300-ზე მეტი კინოსეანსი, რომლებსაც დაესწრო მრავალი ათასი კაცი. (საქ-დესი).

გასტროლები და შთაბეჭდილებები

შთაგონებული შემოქმედი

ზურაბ ანჯაფარიძე კვლავ ჩამოვიდა თბილისში საგასტროლოდ და კვლავ დიდი სიხარული მოუტანა თბილისელ მაყურებელს. ეს არის შთაგონებულ შემოქმედთან შეხვედრის სიხარული. რეპერტუარი, რომლითაც იგი ამჯერად წარსდგა თბილისელების წინაშე, ნაცნობია, მაგრამ რამდენი სიახლეა ამ ადრე ნაცნობ სახეებში, რამდენი შემოქმედებითი აღმოჩენაა ამ ადრე მოსმენილში!...

ინგლისელი მწერალი სომერსეტ მოემი ერთგან ამბობს: პროფესიონალი იმით განსხვავდება დილეტანტისაგან, რომ დილეტანტი მუდამ ერთ დონეზე რჩება, პროფესიონალი კი ვითარდება, იხვეწება, სრულყოფილი ხდება. სწორედ ეს სწრაფვა, სრულყოფისაკენ შეადგენს ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედების შინაარსს. მისი წარმოდგენები მაყურებელს ხდიან ამ შემოქმედებითი წვის არა მარტო მოწმედ, არამედ უშალოდ მონაწილედაც. ჩაიყოლო დამსწრენი შემოქმედების ქარცეცხლში, გახადო შენი გულის ვნებათა ღელვის მონაწილედ — ეს უდიდესი უნარია ტენმარტი შემოქმედისა და ეს თვისება ქმნის ზურაბ ანჯაფარიძის ნიჭის განუმეორებელ მომხიბლაობას.

ძალიან ძნელია უსმინო ანჯაფარიძის გერმანს („პიკის ქალი") და პროფესიონალის საზომით აღვნიშნოთ ალერგიული მოქმედების განვითარება. ანჯაფარიძე დარბაზი მყოფ პროფესიონალსაც გარდაქმნის ბავშვად მაყურებლად, რომელიც სასცენო მოქმედებას განცდის უშალოდ აღიქვამს. მაგრამ, როდესაც წარმოდგენის შემდეგ გონების თვალით უბრუნდები ახლახან ნანახს და გაგონილს, გრძნობ, თუ რა დიდი გზა აქვს გავლილი ზურაბს დროის შედარებით მცირე მონაკვეთში. სულ უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი ხდება მისი სასიმღერო ტექნიკა, პლასტიკური და მოქნილი, არაჩვეულებრივად რიტმული მისი ეტიტი და, რაც მთავარია, სულ უფრო და უფრო ღრმა მისი მსატვრული ინტუიცია. სულ უფრო და უფრო ბასრია მისი მუსიკალური და არტისტული აზროვნება.

საკმარისია ნახოთ „პიკის ქალის" მეორე ან მეოთხე სურათი, თუნდაც რომელიმე სხვა სურათი, საკმარისია დაუკვირდეთ სცენის წარმართვის ეოკალურ-არტისტულ დინამიკას, რომ ცხადი გახდეს, შემოქმედებითი სინთეზის რა სიმაღლეებს მიაღწია ამ დიდებულმა მომღერალმა და მსახიობმა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მას ქართული საოპერო ხელოვნების დიდოსტატი. და აკი აღიარებულია კიდევაც! მისი გერმანი საბჭოთა და მსოფლიო საოპერო სამშმარლებლო შედევრად არის მიჩნეული. მილანში, დიდი თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ავტორიტეტული რეცენზიები ერთხმად ასაბამენ ხოტბას ანჯაფარიძის შემოქმედების ამ გვირგვინს.

ერთი რამ გვიხიბლავს კიდევ ზურაბ ანჯაფარიძის არტისტულ ცხოვრებაში, ერთი რამ გასდევს წითელ ზოლად მის ნაყოფიერ და უაღრესად დაძაბულ მოღვაწეობას: რასაც უნდა მღეროდეს ანჯაფარიძე, სადაც უნდა გადისროლოს იგი მსახიობის ჭირვეულმა ბედმა, იგი მუდამ რჩება ნამდვილ ქართველ მომღერლად, ეროვნულ მომღერლად ამ სიტყვის მაღალი გაგებით.

ზურაბ ანჯაფარიძის სასიმღერო შემოქმედებაში თავს იყრის ქართული ოპერის, სიმშმარლებლო ტრადიციები და რუსული მუსიკალური კულტურის უმაღლესი მიღწევები. ზ. ანჯაფარიძეს ქართული სასიმღერო კულტურის ძეძუ უწოვია და მოსკოვის დიდი თეატრის კალთაში დაკვეთებულა. ამიტომ არის იგი ვანო სარაჯიშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის, დავით ბაღრიძის. ეფთიმე ანდღულაძის შემოქმედების მემკვიდრე და ამავე დროს სობინოვის, ბეჩკოვსკის, სანაგვისა და ნელეპის საქმის სახელოვანი გამგრძობიც.

როდესაც ვისმენ ზურაბ ანჯაფარიძის სიმღერას, მაგონდება ცნობილი იტალიელი კრიტიკოსის ეუჯენიო გარსა სიტყვები დიდი იტალიელი ტენორის აურელიანო პერტილეზე თქმული: „ზედმეტია იმის კითხვა, თუ როგორია მისი ხმა— ყელის, ცხვრის თუ მეერდსმეირი. ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი ხმა მხოლოდ გულიდან შეიძლება აღმოხდეს ადამიანს".

ზურაბ ანჯაფარიძე ამჟამად შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი და ბედნიერი შემოქმედებითი ცხოვრება მისადა სასახელოდ და ჩვენდა გასახარად.

ნოდარ ანდღულაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ზ. ანჯაფარიძე — გერმანი.

„ცისკარი" გვთავაზობს

მაკიოხველებმა მიიღეს ჟურნალ „ცისკრის" მეოთხე ნომერი, რომელიც ეხსნება სანდრო შანშიაშვილის ლექსით — „ედიფსერთა ლენინთან" (რუბრიკა — „ოქტომბერი საგმირო დღეებისაკენ ბავშვებისა").

ჟურნალში წარმოდგენილია შემდეგი განყოფილებები:

პოეზია და პროზა: სიმონ ჩიქოვანი — ორი ლექსი (პოეტის არქივიდან), რევაზ ჯაფარიძე — ვერცხლის აბლაბუდა (მოთხრობა), დავით განჩარიძე — ახალი წიგნიდან (ლექსები), მერაბ ელიოზიშვილის და ოქროს ჭეიშვილის მოთხრობები.

ახალი თარგმანები: ბაგრატ შინკუბას, ედუარდას მეეფილატისის, ყაისინ ულუღიევის ლექსები.

„ცისკარი" — **ბავშვებს:** არჩილ სულაკაური — სალამურას თავგადასავალი (ზღაპარი, დასასრული).

ფიქრები ხმამაღლა: საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ოთარ ჩერქეზიას წერილი — „ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა"; სარედაქციო წერილი — „ცისკარი" ულოცავს კარლო კალაძეს დაბადების 60 წლისთავს.

ლიტერატურული კრიტიკა, მეცნიერება: გიორგი ჯიბლაძის, გიორგი ალანდაძის, ალორგი ალანდაძის, ალორგი საყვარელიძის წერილები.

ჩვენი კალენდარი: გერმან გვერდწითელი — წმინდა პეტრე არსობისა (კარლო კალაძის დაბადების 60 წლისთავის გამო), ბეჟან ბარდაველიძე, თამაზ ებანოიძე— მეცნიერი და ალბრდელი (აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების 60 წლისთავის გამო).

თვიდან თვემდე: ვერიკო ანჯაფარიძე — ისაბოლა ბობოქრობს ქართულ სცენაზე; ჩვენი რადიო, ჩვენი ტელევიზია; ლეონე ბასმანი — ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი; მთ გვასახელებ; იაპონიაში; საქართველოს სახალხო მხატვარი.

აქვე „ცისკარი" თავის სარედაქციო წერილში ულოცავს ბაგრატ შინკუბას და ავანე ჯაფარიძეს; ბულის სახელობის დუბლონების მინიჭებას.

წერილში ნათქვამია:

„ძვირფასო მეგობრებო! სიხარულით შევიტყეთ, რომ



გურამ ყიფიანი ვანის ს. მ. კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა. გურამისათვის ალბათ მომავლის არჩევანი შემოსვეგით არ იქნება — შვიდი წლის ასაკიდან მონაწილეობს იგი მოსწავლეთა თვითმქმედების სამხატვრო გამოფენებში. გასულ წელს მოსწავლეთა თვითმქმედების მე-5 რესპუბლიკურ დათვალიერებაზე გურამ ყიფიანმა ლაურეატის წოდება და მეორე ხარისხის დიპლომი მოიპოვა „ვეფხისტყაოსნის" თემაზე შესრულებული ჭედური ნაკეთობებისათვის, ხოლო წელს, ასლახან, მოსწავლეთა 22-ე რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელიც თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლეში გაიმართა, მისმა ჭედურმა ნამუშევარმა, გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტმა — მნახველთა საერთო ყურადღება მიიპყრო.

სურათზე თქვენ ხედავთ გ. ყიფიანს მუშაობის დრო.

ფოტო ა. ჭელიძისა.

ტელევიზია

16 მაისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასაბამრებლად — ლექცია ფიზიკაში, 10.40 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 10.55 — მხატვრული ფილმი „მშვიდობით", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.30 — მოსწავლეთათვის — „ქართული ენის სიწმინდისათვის", 18.45 — განცხადებები, 18.50 — გადაცემა — „სტუმრად ქართველ მეცხარეებთან", 19.05 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა — „ზღვებსა და ოკეანეებში", 19.30 — პრემიერის წინ, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატები", 21.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.20 — მხატვრული ფილმი „მშვიდობით", 22.45 — გადაცემათა პროგრამა 17 მაისისათვის, 22.50 — საშეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა". (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

17 მაისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ამერიკაეკესის რესპუბლიკების სატელევიზიო სტუდიების ფესტივალი (გადმოცემა ბაკოდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დილისით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

თეატრები

16 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხოგაის მინდია, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბავი ურჩხული.

ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ვოვლისეილოთ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1